მარტის. **15**-სა. წელიწადი პირველი. **1862** წელსა.

# გუთნის-დედა,

## მამულის-მოვლისათჳს.

ჴელი მოეწერება ტფილისში. ი. კერესელიძის სტამბაში. ჭუკიას, საკუთარს სახლში.

გამოიცემა ორკჳრაში ერთხელ. ფასი ერთის წლის გამოცემისა ვინც «ცისკარზედ» ჴელს აწერს ერთი მანეთი, რომელიც არ აწერს ორი მანეთი.

«ცისკარზედ» დამატება.

ნ. **6**

ს. მახრიარი. იანვრის **27** კავკასიაში.

ბამბას აქუს დიდი მნიშვნელობა როგორათაც რომ ვაჭრობაში, აგრეთვე უპირველეს საჭიროებისათჳს ხმარებისა ალაგობრივ, მაშასადამე გახსნა და მოყვანა სისრულეში ამა ნაყოფისა იქნებოდა, კეთილი შემდინარება კარგ მდგმოიარობისათჳს ხალხისა· ადრე, **1845** წ: განსვენებულმა კავკასიის ნამესტნიკმა კნიაზ მიხეილ სჳმონის ძემ ვორონცოვმა ჩამაბარა გაშენება ამერიკის ბამბისა; თესლი მივიღე ტფილისიდამ და დავთესე ჩემს მამულში, მოვაგროვე რა ერთი წილი გავგზავნე ტფილის და იქიდამ იყო წარდგენილი ლონდონში საჩვენებლად, სადაცა ეს ბამბა ჰპოვეს კარგის თჳსებისა და სითეთრითაც არ უვარდებოდა ნამდვილს ამერიკის ბამბას. თუმცა ეს ბამბა დროებით ჰკარგამს თავის სითეთრეს, მაგრამ მაინც უფრო თეთრია ჩუჱნი მხრის ბამბებზე და გამოსავალი მეტი აქუს ვიდრე ჩუჱნსა. ამის გარდა ბუჩქი ამა ბამბისა უფრო მაღალია და მსხვილი და ამის გამო უფრო კარგი დასაწვავია, უმჯობესია ვგონებ, რომელ დიდი სასარგებლო იყოს მოყვანა ამერიკის ბამბისა ერევნის გუბერნიაში, სადაცა რომ ბამბის მოშენება ძალიან შეთჳსებულია ხალხისაგან. ესლა ეჩმიაძინის უეზდში, სადაცა მე ვცხოვრებ, ზოგიერთს უპირველესის საჭიროების საგანს ფასი გამოეცვალა, მაგალითად; ხორბალი ერთი ხალვარი (**50** ფუთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყიდება 6 მანეთიდამ 7—— დის. ერთი ლიტრა ( 21 გირვანქა )ბამბა შარშან 1861 წ. იყიდებოდა თხუთმეტ შაურიდამ ოთხ აბაზამდის; წრეულსკი ექვსაბაზიდამ შვიდ აბაზამდის. ქუნჯუთი შარშან იყიდებოდა ხალვარი 22 25 მანათამდის, წრეულსკი 12-15 მანეთამდის. ქუნჯუთის ზეთი ფუთი იყიდება: სამი მანეთი, სამი და ექვსი შაური. ხალვარი ბრინჯი იყიდება 50 მანეთათ და ორ აბაზათ. სხუათანაყოფს თითქმის ფასი არ შეეცვალათ ჴაერის ცვლილებაზედ, რომელიცა აქუს ზედ მოქმედობა ჩუენის მამულის მოყვანაზედ, ეხლა დამტკიცებით ვერას ვიტყვი, მაგრამ ცივი ზამთარიკი ვერაფრად გვანუგეშებს მოსავლისათჳს. 17⁰ ყინვაა და ისე ცოტა თოვლია რომ მიწას ძლივა ჰფარამს.

ოჴან სულთან შახათუნოვი.

---

სასოფლოს მოსახლკარობის ხრონიკა (წელთ მწერლობა). (რუსულად სელსკო ხოზიაისტუენნაია ხრონიკა).

---

სახელოსნოთა შკოლათათჳს საქართუელოს სოფლებში.

აწინდელი სოფლისა მოსახლკარობა, რომელიც იყო საკმაო ჩუენთა წინამჰართათჳს, იმათსა მდაბიურსა ცხოვრებაში, არ არს შესაფერი ჩუენის დროს ცხოვრებისა. ჩუენი დრო არს ისრეთი, რომ ერთისა მდგომარეობიდამ გადავდივართ მეორეში და თანდათან უტევებთ ყოველსა დამველებულსა ჩუეულებასა; მაშასადამე ჩუენსა მოსახლკარობასა, ვითარცა უმთავრესსა ღონისძიებასა ხალხის გამდიდრებისასა, უნდა აქუნდეს ეგრეთვე თჳსი პროღრესსი, (წინ წასვლა).

სრულყოფა სასოფლოჲსა მოსახლკარობისა არს პირისპირ დამოკიდებული მასზედ, ოდესაც უკეთესსა მდგომარეობაში მოყვანილ იქმნებიან პირუტყვნი და მიწისა სამუშავო იარაღნი, რომელთა საშუალობით იწარმოების ხნვა, მკა, ლეწვა და სხუანი (*).

უმჯობესსა მდგომარეობაში მოყვანისათჳს პირუტყვისა საქართუელოში, სადაც იშვიათად არს ბუნებითი სათიბები, გარნა არს მრავალი სარწყავი მიწები, მიუცილებლად საჭირო არს მოყვანა საკვებავის ბალახებისა. ამ ბალახებისა მოყვანის უწინარეს უნდა უმჯობესსა მდგომარეობაში მოყვანილ იქმნეს მიწისა სამუშაონი იარაღნი, რომელიც შეადგენს საგანსა ამა სტატიისასა.

---

(*) განვრცელებულს გაჭრობას ხალხში შინა და გარეშე ხალხის განათლებასა სწავლითა, ერთმარეთში ნდობას. (კრედიტ) და სხუათა აქუსთ ეგრეთვე დიდი მოქმედება სასოფლოს მოსახლკარობისა განმშვენიერებისათჳს.

უმჯობესად გაკეთება მიწის სამუშაოს იარაღებისა, ეგრეთვე სოფლებში მცხოვრებთა სახლებისა შეიძლება მაშინ, ოდესაც განვრცელდება ხელოსნობა ჩუენს სოფლებში.

სახელოსნო შკოლები, ჩემის ჭაზრით, უნდა გაკეთდეს დიდთა სოფლებთა შინა, მიხედჳსამებრ სივრცისა და ხალხის სიმრავლისა, სამიდამ ოთხს შკოლამდის უეზდში.

გლეხნი სოფლებში მისთჳს უფრო ხალისით მისცემენ თჳსთა შჳლთა სასწავლებლად, რომ ეყოლებათ ისინი თავის სახლში, თჳსისა ზედა მხედველობისა ქუეშ. ემაწჳლნი კელოსანნი სოფელში ცხოვრებით არ გაფუჭდებიან ისე, როგორც ეს მოხდება ქალაქებში და არ გადეჩვევიან სხუათა სოფლიურთა სამუშაოთა. რაოდენიცმე ვუწყი, კელოსანნი, ნასწავლნი ქალაქებში, არაოდეს აღარ ბრუნდებიან სოფლებში, ბევრნი მათგანნი ირყვნებიან. ემაწჳლნი კელოსანნი სოფელში, კელოსნობაების სწავლის დროს, მოკლედ შეიტყობენ ნაკლულევანებასა თავეთის სოფლიურის სადგომებისასა. ნაკლულევანებასა ჩუენის სოფლიურის ურმებისასა, მოინდომებენ იმის უმჯობესად გაკეთებასა. პირუელად სახელოსნოსა შკოლებში უნდა ასწავლონ ის კელოსნობანი, რომელნიც ეხლანდელსა დროსა საკუთრივ მიუცილებლად საჭიროანი არიან, საკელდობრ: დურგლობა, ხუროობა და ხარატობა, მებოჩკობა, ურმისა ანუ ეკიპაჟების თვლების მკეთებლობა, მჭედლობა, ჩილანგდრობა (მკეთებლობა აბჯართა, კლიტეთა და სხუათა მისთანათა), შორნიკობა (ესე იგი მკეთებლობა ყოვლისავე ცხენების შესაბმელის და ეკიპაჟების და მებელის ტყავის იარაღისა).

მოკლე ანგარიში ერთისა სასოფლოს სახელოსნოს შკოლისა ვორის უეზდში.

1) დაქირავება რვათა კელოსანთა ერთს შკოლაში ღირს: ერთის დურგლისა სამოცს თუმნად წელიწადში, ერთის ხუროსა ოცდაათს თუმნად, ერთის ხარატისა სამოცს თუმნად, ერთის ბოჭკების მკეთებელისა (ბოჩარისა) ოცდა ათსა თუმნად, ერთის ურმის და სხუა ჩასაჯდომების თვლების მკეთებელისა (კოლესნიკ) ოცდა ათს თუმნად, ერთის მჭედლისა ოცდა ათს თუმნად, ერთის შესაბმელის ცხენების იარაღის მკეთებელისა (შორნიკ) ოცდა ათს თუმნად, ერთის ჩილინგდრისა (სლესარ) სამოცს თუმნად და სრულებით რვის კელოსნის ჯამაგირი შეადგენს სამას ოცდა ათს თუმანს ვერცხლის ფულსა წელიწადში.

2) სახელოსნო შენობა ალიზისა, დახურული ქართულად, ანუ რუსულად, დაფარული ყავრითა, რუსულის ფანჯრებითა და კარებითა რვა ოთახი, თჳთოეული ათ არშინიანი ოთხივ მხრითა; დაჯდება ას

თუმნად, ოდესაც სოფლები შეეწევიან მასალის მოტანითა.

რვას ოთახში ხელოსანნი უნდა იმყოფებოდენ სამუშაოდ: ერთს ოთახში დურგალი და ხარატი, მეორეში ხურო და ბოჩკის მკეთებელი, მესამეში თვლების მკეთებელი, მეოთხეში მჭედელი (სამჭედლო უნდა იყოს ყოვლის შემთხჳევისათჳს ორის ქურით); მეხუთეში ჩილინგდარი და შორნიკი; მეექჳსეში დაეწყობა მასალა ხისა, რკინისა, ტყავისა და ზოგიერთი იარაღი, მეშჳდეში სამაგალითონნი გუთანნი, ფარცხნი და სხჳანი მიწის სამუშაონი ევროპიულნი იარაღნი; მერვეში სამზარეულო ჴელოსანთათჳს და სანოვაგე მათი. თჳთოეული ოთახი უნდა იყვეს გაკეთებული შესაფერად თჳსისა მნიშჳნელობისა, შემდგომში სახელოსნოს შკოლის მმართჳელზედ იქნება დამოკიდებული დააყენოს ოსტატები ისე, როგორც გარემოება მოითხოვს. თუ შეგირდები იქმნებიან ბევრნი შეიძლება მიემატოს კიდევ,საკუთრივ ხის მუშაკობისათჳს,მოწნული სადგომები,რაჲცა სოფელში დაჯდება ფრიად იეფად.

უცოლოთ ჴელოსანთა შეუძლიანთ იდვნენ თჳსთა საჴელოსნოთა ოთახებში, სადაც უნდა გაკეთდეს ბუხრები, ხოლო ცოლიანნი ხელოსანნი იქირავებენ სადგომსა სოფელში, სადაც ქირა არის მრიელ იეფი.

5) ყიდვა ჴელოსნებისა იარაღთა დაჯდება ოთხმოც თუმნად.

4) ყიდვა რკინისა, ხისა და ტყავის მასალისა, მოსამზადებლად სხჳა და სხჳათა ნივთთა, ამ ქჳეყანაში უმეტესად სახმარებელთა, ორმოც თუმნად.

ჯამი, მოსახმარი პირჳელსა წელსა ერთსა საჴელოსნოსა შკოლაზედ შეადგენს ხუთას ორმოცდა ათს თუმანსა; ამ ჯამიდამ ვჰფიქრობ პირჳელსა წელსა ეთხოვოს მმართებლობას სამასი თუმანი იმ ფულიდამ, რომელიც არის დანიშნული სასოფლოსა მოსახლკარობაზედ, მიუბრუნებლად, დაშთენილი ორას ორმოცდაათი თუმანი მოგროვდეს ჴელის მოწერითა უეზდში, რომლისათჳს უნდა იყვნენ მიწვეულნი ყოვლისა წოდებისა პირნი.

მეორესა და შემდგომთა წლებში მოუნდება ჯამაგირისათჳს ჴელოსნებისა სამას ოცდაათი თუმანი,რემონტად (*) შენობისათჳს ათი თუმანი, რემონტად სახელოსნოთა იარაღთა ათი თუმანი, სასყიდლათ ხისა, რკინისა და ტყავისა მასალისა ოცი თუმანი (*) და სრულებით ყოველს ხარჯზედ ერთისა სახელოსნოჲსა შკოლისათჳს სამას სამოცდა ათი თუმანი.

მომატებული ნაწილი ამ ხარჯისა შეი-

(*) რემონტი ნიშნავს წლის ხარჯსა ყოვლისა ნივთის გასაახლებლად.

(*) მეორესა და შემდგომთ წლებში ვსდებ სასყიდლად ხისა, რკინისა და ტყავისა ორმოცის ნაცვლად ოცსა თუმანსა; იმისთჳს რომ ბევრნი გარეშე პირნი შეურიგდებიან ნივთების გაკეთებასა თჳსის მასალითა.

ეროვნული

ვსების სახელოსნოში გაკეთებულის ნივთების შემოსავლითა; დაშთენილი ნაწილი ჯამისა, რომლისა ეხლავე განსაზღვრება ძნელი არს, შეივსოს ხელის მოწერითა.

ამ ქუეყანაში, სადაც ამ გვარი საქმე არს ახალი, არ შეიძლება შესდგეს წინდაწინ სრულებით სწორე ანგარიში ხარჯისა, რაძცა მოუნდება ერთსა შკოლასა; ეს ანგარიში შემიდგენია იმ ცნობაებითა, რაც მე გორის უეზდში შემიტყვია.

შკოლის მართვისათჳს:

შკოლის მმართუელი აღირჩევის, უმფროსისა მიერ სასოფლოს მოსახლკარობისა (ნაჩალნიკომ სელსკაღო ხოზიაისტვა) იმ პირთაგან, რომელთაც რაოდენიმე ესმისთ ეს ნაწილი,ანუ ერთი იმ ორთა კანდიდატთაგანი, რომელნიც იქმნებიან აღმორჩეულნი კელის მომწერთაგან.

ხელოსნების შკოლის მმართუელი უნდა აღმოირჩეს უპირატესად მომდომე ამ საზოგადოს საქმის შესრულებისა, რომელსაც უნდა დაენიშნოს, საზოგადოობის მადლობის გარდა, ჯამაგირი.

მე ვგონებ საკმაოდ, რომ მიეცემოდეს შკოლის მმართუელს ათ ათი პროცენტი ყოველივე რუბლიდამ, რომელიც შემოვა გარეშე პირთაგან სხუა და სხუას ნივთების გასაკეთებლად. ეს საკმაო უნდა იყვეს მმართუელისა თჳს. ამას გარდა, თუ შკოლის შემოსავალიდამ ყოველი იმაზედ ხარჯი შეივსების, მაშინ დაშთენილი შემოსავალიც უნდა მიეცეს შკოლის მმართუელსა თავის სასარგებლოდ. უმეტესს განსამხნევებელად კელოსანთ უნდა დაენიშნოს ეგრეთვე ჯამაგირის გარდა სამ სამი პროცენტი რუბლიდამ, რომელსაც აიღებენ გარეშე პირთაგან გაკეთებულთა ნივთთა თჳს. შკოლის მმართუელს და კელოსანთა თუ ექმნებათ ეს სარგებლობა, მაშინ ეცდებიან, რომ ყოველივე ნივთები გაკეთდეს მაგარი და იეფად, მაშინ უფრო ბევრნი მისცემენ გასაკეთებელს ნივთებსა.

სოფელში ყოველსავე მსურველსა კელოსნობის სწავლისასა მიიღებენ შკოლაში უფასოდ. სოფელში მცხოვრებთა, სადაც იქმნება გაკეთებული შკოლა, შეუძლიანთ იარონ საკელოსნოსა შკოლაში სასწავლებლად, როგორც დანიშნული იქმნება დრო შკოლის მმართუელისაგან, დილით და სადილის შემდგომ დაწესებულთ საათებში, იმათ ექმნებათ თავიანთი ტანისამოსი და თჳსი საზრდოება; სხუათ სოფელთ მცხოვრებთა შეუძლიანთ მისცენ თავიანთი შჳლები იმ სოფლის გლეხთ სახლებში, სადაც სახელოსნო შკოლა იქნება, ერთმანეთთან შეპირებით და საზრდოების მლევით; ამ გვარად შვილნიცა სხუათა სოფელთა გლეხთანი ივლიან შკოლაში სასწავლებლად.

მმართუელი შკოლისა მიიღებს იმოდენს

შეგირდებს, რაოდმენიცა დაეტევა და მიაბარებს იმ კელობაზედ ოსტატსა, რომლის კელოსნობის სწავლა თჳთონ სურსთ, თუ ემაწვილი ბიჭი თჳთ არ აირჩევს კელობასა, მაშინ მმართჳელი იმას გამოურჩევს იმის ნიჭიერების შესაფერსა კელობასა.

დამოკიდებულება ოსტატებისა თავიანთს შეგირდებთან უნდა იყვეს ჩჳეულებრივ. საზოგადო ზედა-მხედველობა კელოსანთა და შეგირდთა ზნეობა ზედ ექმნება მმართჳელსა შკოლისასა, რომელიც შეძლებისამებრ იმოქმედებს უმეტესად შეგონებითა; უნდა მმართჳელი შკოლისა ეცადოს, რომ ცემა და რიზგი არ ისმარებოდეს; ჩჳენის სოფლების მცხოვრებთ მრიელ ეთაკილებათ ცემა.

წელიწადი რომ შესრულდება მმართჳელმა უნდა წარუდგინოს ანგარიში ღუბერნატორს და ნაჩალნიკს (სელსკაღო ხოზიაისტვა) შესახებ ფულისა და შკოლის წარმატებისა; იმავე დროს იმავე ანგარიშსა დაბეჭდინებს გაზეთსა კავკაზში, საზოგადოობისა საცნობელად. ანგარიში უნდა იწერებოდეს ყოვლითა სისწორითა.

ღუბერნატორი და (ნაჩალნიკი სელსკაღო ხოზიაისტვა) ნოველწლივ შეამოწმებენ საკელოსნოსა შკოლასაანუ თჳთ, ანუ გაგზავნიან ამისთჳს საკუთარსა კაცსა.

ყოველს დროს უნდა მიიღონ გასაკეთებელნი ნივთნი საკელოსნოსა შკოლაში, გარნა შეატყობინებენ მმართჳელსა შკოლისასა. ოდესაც მომატებით იქმნება ერთსა დროსა გასაკეთებელნი ნივთნი უნდა გააკეთონ, ანუ დააკერონ ის ნივთნი უპირველესად იმისი, ვინც უწინ მოიტანს ნივთსა; ამაში არა ვითარი პირმოთნეობა არ უნდა იყვეს და გაკეთება ნივთთა უნდა იყვეს უფრო იეფი, ვირემც ქალაქებში, ამაზედ მომატებით იქმნება დამოკიდებული შემოსავალი და წარმატება შკოლისა

პირჳელსა წელსა ფული, შეგროებული კელის მოწერითა ორას ორმოცდაათი თუმნი, თანასწორმიღებული ხაზინიდამ სამასი თუმანი მიეცემა დანიშნულსა მმართჳელად სრულსა იმის პასუხისა მგებელობაზედ. ის იქირავებს კელოსანთა, აღაშენებს სახელოსნოსა სადგომსა, იყიდის ოსტატების იარაღთა და დასასრულ გახსნის შკოლასა. იმ-დროსა, ოდესაც გაიხსნება შკოლა, აცნობებს ღუბერნატორსა და ნაჩალნიკსა (სელსკაღო ხოზიაისტვა), მაშინვე გამოაცხადებს საქვეყნოდ გაზეთსა კავკაზში.

შემდგომად ექვსისა წლისა, როგორც შესაძლო არს ვიმედოვნებდეთ, გვეყოლება კელოსანი ქართველთა გლეხთაგან, მაშინ შეიძლება გაიხსნას სხუათაცა დიდთა სოფელთა შინა საკელოსნონი შკოლანი დაუბრკოლებლად.

(*)გასაკეთებელნი და დასაკერებელნი ნივთნი იქმნებიან მიწის სამუშაონი იარაღნ

ესე იგი: გუთანნი ფარცხნი, ურემნი, პოვოსკანი, ეკიპაჟები, მებელი, სახლისა სის ჭურჭელი და სახლის ფანჯარა, კარნი და სხვანი ნივთნი· თუ ღონისძიება იქმნება, დიდათ სასარგებლო არს, რომ ასწავლონ შეგირდთა სახელოსნოჲს შკოლისათა წიგნი და წერა საკუთარისა პროგრამმითა.

სხუათა და სხუათა დროთა შინა მქონდა შემთხვევა კავკასიისა და აქაურისა მხრისა სახლის მოსახლკარობის გაცნობისა; ყველგან უმეტესსა ნაწილში შემხვდა ნახვა სიღარიბისა, თუ შევასწორებთ ბუნებისა სიმდიდრესა და ხალხის ნიჭიერებასთან; მიზეზნი ამისნი, როგორც მე დავრწმუნდი, არს წარსრული მათი უბედურებითი ისტორია; გარნა აწ, ოდესაც დამყარდა საზოგადო მშვიდობა, გარდა მცირედის ადგილებისა, ვალი თჳთეულისა აქაურისა განათლებულის კაცისა არს და საფუძველოს მშვიდობა განვრცელებითა თავიანთს ქვეყანაში ყოველთა კეთილთა ევროპიის ცივილი-ზაცისათა (განათლებისათა).

არა ერთგზის დავრწმუნდი, რომელ არამც თუ მებატონენი, არამედ გლეხნიცა გამხადებულ არიან შემოიტანონ ხმარებაში ევროპიულნი გუთანნი, ფარცხნი, სალეწი მაშინა და სხუანი იარაღნი სასოფლოჲსა მოსახლკარობისანი; რაოდენთამე მებატონეთა დაიბარეს ახალნი გუთანნი და სალეწნი მაშინანი დიდისა ხარჯითა, მაგრამ შემდგომად პირველისა გატეხისა, რომ არ ჰყავდათ ვის გაეკეთებინა, უნდა აეღოთ ხელი ახლად შემოღებულებისაგან.

სასურველ არს, რომ საზოგადოებას არ შეეწუხებინა მმართებლობა და თჳთ შესძლებოდა გაკეთება სახელოსნოთა შკოლათა ხელის მოწერითა თჳთეულსა უეზდში; მაგრამ ახლანდელის დროში ისე საჭირონი არიან ხელოსანნი ქართუჳლთ სოფლებში, რომ როგორის ღონის ძიებითაც გაკეთდებიან შკოლანი, სარგებლობა იმათგან არს უეჭველი წარმატებისათჳს ჩუჱნის მოსახლკარობისა.

ჩემს დაწყობილობაში (პროექტში), რომელიც მივართვი წარსრულის წლის დაწყებაში უფალს ნამესტნიკის თანამდებობისა აღმასრულებელსა და რომელიც კეთილად მიღებულ იქმნა მისის ბრწყინვალების კნიაზ გრიგოლ დიმიტრის მისა მიერ, მე დაწვრილებით აღვსწერე, როგორც უნდა გაკეთებულიყვნენ სასოფლონი სახელოსნონი შკოლანი ასსოსიაციით (შეკრებითა საზოგადოებისათა კომპანიად): თუმცა მე მომეცა ნება, რომ შემედგინა ამ ჰაზრით საზოგადოება, მაგრამ ოდესაც უფრო მოკლედ გავიცან აქაურნი მცხოვრებნი, მე დავრწმუნდი, რომელ უმეტესი ნაწილი მათი, შეუწნევნელად მთავრობისა, აღვიარებს შეუძლებლად შესრულებასა აქ აღწერილისა საქმისასა; ამისთჳს დაუტევე ჩემი უწინდელი დაწყობილება და

ბიბლიოთეკა

დავწერე ახლანდელი წინა დადებაჲ, რომლისა საფუძველი არის, ნახევარი ფული, რომელიც მოუნდება ერთსა კელოსნების შკოლასა, უნდა დაისარჯოს მმართებლობისაგან, ნახევარი ფული უნდა შესწიროს საზოგადოობამ კელისა მოწერითა მსურველთაგან. ეს დაწყობილება კელოსნების შკოლისა ამისთვის დაიბეჭდა რუსულსა და ქართულსა ენაზედა, რომ ვისაც შეუძლიან უკეთესად შეადგინოს წარმოავინოს თავისი წინადადება კელოსნობისა სწავლისა სოფელში. შეიძლება, რომ იმ უეზდებში საცა ხალხი სქლად დგანან და სოფლები ახლოა ერთმანეთზედ, როგორც კახეთი და ზოგან ქართლში, ოთხად გაიყოს შკოლა: ერთს სოფელში ასწავლონ დურგლობა და ხუროობა; მეორეს სოფელში ხარატობა და მებოჩკობა, მესამეს სოფელშა ურმისა და ეკიპაჟების თვლების კეთება და შვორნიკობა, მეოთხეს სოფელში ჩილინდრობა და მჭედლობა (*)

კონსტანტინე მამაცოვი.

---

## ზამთრის კარტოფილისათჳს.

ირლანდიაში დიდი ხანია რაც რომ შემოუღიათ დათესვა ზამთრით კართოფილისა. ანგლიაში ორთა მებატონეთა ღრეიმ და ტაროტტელმა განიმეორეს დათესვა კარტოფილისა შემოდგომიდგან ღრმად თიხიანს ადგილში და დარჩნენ დიდად კმაყოფილნი. ფრანციაშიაც გამოსცადა ზამთრით კარტოფილის დათესვა უფალმა შანდარნემ, შემდგომის სახით:

1. შანდარემ დათესა კარტოფილი, მინამ მაახლოვდებოდა საშინელი ყინვები, წაყურევინა მიწა საკმაო სიმაღლით, დაცვისათჳს ყინვისაგან რომელმანცა მიიღო კარგი კარტოფილის მოსავალი, ზაფხულის დასასრულს

2, თურომ დათესილია ზაფხულის დასასრულს, როგორც გვირჩევს უფალი შანდარე, შეიძლება ამოიყაროს ზამთრის გასავალს და მაშინვე იმავე ადგილს ჩაყაროს სხუა კარტოფილი.

3. დასათესავათ უმჯობესი არის იხმარებოდეს შუაზე გაჭრილი კარტოფილი, ვიდრე მრთელი, რომელიცა ხშირად მოსცემს ცოტა მოსავალსა 4, ზამთრივ დათესვა კარტოფილისა უმჯობესი არის ზაფხულისა 5. სადაცა რომ ზამთარი ძალიანი ყინვიან არ არის, რომელიც როგორც რუსეთში, შეიძლება წელიწადში სამჯერ დაითესოს და სამჯერვე კარგი მოსავალი მიიღოს კარტოფილისა.

ზამთრივ კარტოფილის დათესვა იყო გამოცდილი აგრეთვე რუსეთში. სმოლენსკის მებატონემ უფალმა აბაშევმა მოინდომა გამოცდა შემდგომის სახით: პირველად მოამზადა მიწა როგორათაც რიგია, შემდგომ **1834** წელსა შემოდგომაზე ჩაყარა ხუთი ჩარექი კარტოფილი; მოსთხარა, დაანება თავი ზამთრისათჳს, გაზაფხულზე შემდგომ წელიწადსა, აღმოჩნდა პირველად შამბო ბალახა, რომელიცა იყო გარჩეული თოხითა; შემდგომ იწყო კარტოფილმა გამოსვლა და ცოტას დროს გამართლდა იმედი მებატონის მის. კარტოფილი გამოვიდა თორმეტის დღით ადრე, ზაფხულით დათესილისა და გაიზარდა ძალიან კარგად. რა ამოთხარა ნახა, რომ გაზაფხულით დათესილსა გაუშო მხოლოდ ფურსოები მაშინ, როდესაც იმ დროს შემოდგომით დათესილს ჰქონდა ხორკლები ამისთჳს უფალი აბაშევი ამბობს რომ ზაფხულით დათესილს კარტოფილს ზამთრივ დათესილი სჯობია. მოსავლით თუ გემოთი.

იმის გარდა კიდევ ბევრმა გამოსცადა, მაგრამ ზოგს მოუვიდა კარგი მოსავალი და ზოგს წაუხდა, მიზეზი წახდენისა იყო შემდგომი: ერთმა დათესა ახალი კარტოფილი მაშინათვე ამოღებული და მეორემ საშინელ ყინვიანს ადგის, ამისთჳს წაუხდათ მოსავალი. ზამთრივ დათესვა და მოსავლის მიღება ვისაც უნდა, ისე უნდა მოიქცეს როგორათაც ზემო სწერია; იმავ დროს ამოღებული ახალი კარტოფილი არ უნდა დათესოს, ოთხი ხუთი თჳსმაინც უნდა იყოს; და მეორეს ძალიან ყინვიანს ადგის არ უნდა დათესოს. საქართველოში შეიძლება წელიწადში სამჯერ დათესოს და სამჯერვე კარგი მოსავალი მოვიდეს, რადგანაც არ არის ისეთი ყინვები, როგორათაც არის რუსეთში.

---

(*) რუსულს ჩემს სტატიაში იყო გაშვებული ხუროს ოსტატი, ამ ქართულს სტატიაში მოუმატე ხუროობა და ბოლო სომტიისა შკოლის გაყოფისათჳს.

Тифлисъ. Печатать позволяется. 15 Марта 1862 года. Цен. Кайтмазовъ.   რედ. კერესელიძე.